საიდ. N 81206/03

IR 1237855

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №46-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, თ.ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ფილიპ მორრის ბრენდს სარლ“ (Philip Morris Brands Sàrl) N46-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 დეკემბრის N3950/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „ASH CONTROL“ (საიდ. N81206, IR 1237855) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 დეკემბრის N3950/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ASH CONTROL“ მსგავსია კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ.“ (JAPAN TOBACCO INC.) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „CONTROL“ (რეგ. N 21895, რეგ. თარიღი: 17.10.2011) 34-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. რეგისტრირებული ნიშანი სიტყვიერია, ხოლო განცხადებულ სასაქონლო ნიშანს თან ახლავს გამოსახულება - წრე და მასში ჩახაზული ოთხკუთხედი, რომელიც სიტყვიერი ნაწილის ზემოთ არის განთავსებული. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს და მასში დამატებითი ელემენტის - „ASH“ არსებობა ნიშანს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან, ნიშნის დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „CONTROL“. ასევე, მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების 34-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნისთვის „ASH CONTROL“ (საიდ. N81206, IR 1237855) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი.

აპელანტის განმარტებით, იმდენად განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების 34-ე კლასის ჩამონათვალი, რომ არ მოხდება მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შედგება გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებისაგან. გამოსახულებით ნაწილი წარმოადგენს ნაცრისფერ ფერში შესრულებულ წრის გამოსახულებას, რომელშიც მოთავსებულია ცალ მხარეს დაშტრიხული მართკუთხედი. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ელემენტს წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებული ორსიტყვიანი ფრაზა - „ASH CONTROL“. სიტყვიერი ნაწილი განლაგებულია გამოსახულების ქვეშ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ისეა შედგენილი, რომ სიტყვიერ ელემენტებზე არ მოდის ძირითადი დატვირთვა.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებულ სიტყვას „CONTROL“. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი და განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტის მეორე სიტყვა იდენტურია, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში გამოსახულებითი ელემენტისა და არსებითად განსხვავებული მეორე სიტყვის არსებობა ამ უკანასკნელს საკმარის განმასხვავებლობას ანიჭებს იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ორი სასაქონლო ნიშნით მონიშნული 34-ე კლასის საქონლის მწარმოებლების ერთმანეთში აღრევა.

აპელანტი თანახმაა განცხადებული სასაქონლო ნიშანს მიენიჭოს დაცვა მთლიანობაში, ან სიტყვიერ ნაწილს „CONTROL“ არ მიენიჭოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 დეკემბრის N3950/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ASH CONTROL“ (საიდ. N81206, IR 1237855) მიენიჭოს დაცვა საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N46-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის განსხვავებაზე და მიაჩნია,

რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ASH CONTROL (საიდ. N81206, IR 1237855) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „CONTROL“ (რეგ. N21895) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს - „CONTROL“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შედგება გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებისაგან.

სიტყვიერი ნაწილის - „ASH CONTROL“ ზემოთ განთავსებულია წრის გამოსახულება, რომელშიც მოთავსებულია ცალ მხარეს დაშტრიხული მართკუთხედი.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკური, ვიზუალური და სემანტიკური თვალსაზრისით.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან, განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ეშ ქონთროლ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ქონთროლ“.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით, ვინაიდან, განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი მთლიანად მოიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვიერი ელემენტი - „CONTROL“, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია. განცხადებულ ნიშანში დამატებითი სიტვიერი ელემენტის „ASH“ და გამოსახულებითი ელემენტის არსებობა ვერ უზრუნველყოფს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის საკმარის ვიზუალური განმასხვავებლობას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, ვინაიდან, ორივე მათგანი დაკავშირებული მართვასთან. განცხადებულ ნიშანში დამატებითი სიტყვიერი ელემენტის არსებობა ნიშანს ვერ სძენს საკმარის სემანტიკურ განმასხვავებლობას.

რაც შეეხება განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, ორივე ნიშანი განცხადებულია 34-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის, რაც კიდევ უფრო ზრდის მათი აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაშ შეყვანის შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“

თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის კომპანიის „ფილიპ მორრის ბრენდს სარლ“ (Philip Morris Brands Sàrl) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N46-03/15) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 დეკემბრის N3950/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე